ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №517480

ნომერი: AR1104197

თარიღი : 21.01.2013

გაცემის თარიღი : 24.01.2013

გაცნობის თარიღი : 28.01.2013

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ქუთაისი , N 20 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნინო ჩიკვაიძე პ/ნ 01024016177
- თბილისი ა.ანტონოვსკაიას ქ. N 9 ბ. 53

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებით გაცნობებთ: თქვენს მიერ წარმოდგენილი ფოტომონტაჟი და მოთხოვნის ტექსტი არ შეესაბამება ერთმანეთს. მოთხოვნის ტექსტში მითითებულია: "1200 მოსწავლიანი სკოლის უსაფრთხოების ნორმების დაცვის აუცილებლობიდან გამომდინარე გთხოვთ დაგვრთოდ ნებართვა, რათა სკოლიამ საკუთარი ძალებით ფანჯრის შეუხებლად აღვადგინოთ სკოლის ღობის მორღვეული მონაკვეთი პირველად მდგომარეობამდე.", ხოლო ფოტომონტაჟის მიხედვით დგინდება, რომ ხდება არსებული ფასადისა და ფანჯრის ღიობის შელესვა/ამოშენება, რომელებიც არ არის თქვენს საკუთრებაში. აქედან გამომდინარე სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა.

ასევე გაცნობებთ, რომ ვინაიდან მეზობლის ფანჯრის ღიობი მოწყობილია უნებართვოდ და მისი მოწყობით ირღვევა სამეზობლო მიჯნის ზონა, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შესაძლებელია მიმართოთ ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.